არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“

წესდება

თბილისი, 2025 წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.1. **„საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“** (შემდგომში, **„ასოციაცია“**) წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას (არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს), რომელიც შექმნილია და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების (შემდგომში, **„წესდება“**) შესაბამისად.

1.2. „ორგანიზაციის“ სრული იურიდიული სახელწოდებაა:

1.2.1. ქართულად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **„საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“** ;

1.2.2. ინგლისურად, Non-Entrepreneurial (Non-Commercial) Legal Entity **„Producer Responsibility Organization of Georgia“**

1.3. „ორგანიზაციის“ შემოკლებული სახელწოდებაა:

1.3.1. ქართულად, ააიპ **„მგვ“**

1.3.2. ინგლისურად, NNLE **„PRO“**

1.4. „ორგანიზაციის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, კახეთის გზატკეცილი №101

1.5. „ორგანიზაციის“ ელექტრონული ფოსტის მისამართია: pro.associationgeorgia@gmail.com

მუხლი 2. სამართლებრივი მდგომარეობა, სტატუსი

2.1. „ასოციაცია“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. იურიდიული პირის უფლებებს „ასოციაცია“ იძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში, **„საჯარო რეესტრი“**) რეგისტრაციის მომენტიდან.

2.2. „ასოციაციას“ შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი და ბლანკი, რომელიც შეიცავს მის სრულ სახელწოდებას. „ორგანიზაციას“ შეუძლია ჰქონდეს საკუთარი ემბლემა და სიმბოლიკა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და ვიზუალური იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები.

2.3. წინამდებარე „წესდებით“ განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, „ასოციაცია“ მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2.4. „წესდებით“ განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, „ასოციაცია“ უფლებამოსილია, გაწევრიანდეს სხვადასხვა საერთაშორისო/ადგილობრივ გაერთიანებებში ან მიიღოს მონაწილეობა ასეთი გაერთიანებების შექმნაში. ფლობდეს სხვადასხვა იურიდიული პირების წილებს/აქციებს, თუ ამ წილებიდან/აქციებიდან „ორგანიზაციის“ მიერ მიღებული შემოსავლები მოხმარდება მისსავე მიზნებს.

2.5. „ასოციაცია“ საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს თავისი ქონებით. „ორგანიზაცია“ არ არის პასუხისმგებელი მისი დამფუძნებელი წევრების, ასოცირებული წევრების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, ან/და თავმჯდომარის ვალდებულებებზე.

2.6. „ასოციაცია“ უფლებამოსილია დააფუძნოს ფილიალები/წარმომადგენლობები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

თავი II. მიზნები და საქმიანობა

მუხლი 3. მიზნები

3.1. „ასოციაციის“ ძირითადი მიზნებია:

3.1.1. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ნარჩენების მართვის სტანდარტების დანერგვა, ინდუსტრიის განვითარება და გაჯანსაღება, ისევე როგორც, შესაბამის სფეროში სახელმწიფო ორგანოებთან და ნარჩენების წარმომქმნელ იურიდიულ პირებს (შემდგომში, „**მწარმოებელი**“ ან/და „**მწარმოებლები**“) შორის შუამავალი რგოლის შეთავსება, ნარჩენების მართვის დაგეგმარების ეფექტურობის მისაღწევად;

3.1.2. ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორეული ნედლეულის გამოცალკევებას, ნარჩენებიდან ენერგიის აღდგენას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას);

3.1.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის სქემის (შემდგომში, „**სქემა**“) შემუშავება, დანერგვა და განხორციელება;

3.1.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მწარმოებელთა გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის (შემდგომში, „**მგვ ორგანიზაცია**“) ფუნქციების განხორციელება.

3.1.5. საზოგადოების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება ნარჩენების ეფექტური მართვის მნიშვნელობის ხაზგასმით და ზოგადი ინფორმირებულობის გაზრდით.

მუხლი 4. საქმიანობა

4.1. წინამდებარე „წესდებით“ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, „ასოციაცია“ საკუთარ საქმიანობას ახორციელებს დემოკრატიისა და საყოველთაო ჩართულობის პრინციპებზე დაყრდნობით.

4.2. გარემოს დაცვის საუკეთესო ინტერესებისათვის, „ასოციაცია“ უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას, მის ეფექტურ ხელმისაწვდომობასა და საჯაროდ გავრცელებას, რაც სხვადასხვა ინდუსტრიის „მწარმოებლებს“, ისევე როგორც ფართო საზოგადოებას და მომხმარებლებს, საშუალებას აძლევს რეალურად ჩაერთონ გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელი შეუწყონ ეფექტიანი და გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებას.

4.3. წინამდებარე „წესდებით“ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, „ასოციაცია“ ეწევა შემდეგ საქმიანობას:

4.3.1. საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან (შემდგომში, „**სამინისტრო**“) იღებს ავტორიზაციას და მიმართავს შესაბამის ზომებს, როგორც ავტორიზაციის შესანარჩუნებლად, აგრეთვე საჭიროებისამებრ მისი გახანგრძლივებისათვის;

4.3.2. აწარმოებს „ასოციაციის“ წევრთა რეესტრს (შემდგომში, „**მგვ რეესტრი**“), „სამინისტროს“ აწვდის შესაბამის ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავად რეგისტრირდება „სამინისტროს“ მიერ წარმოებულ რეესტრში და „სამინისტროს“ წარუდგენს ყველა საჭირო დოკუმენტს;

4.3.3. შეიმუშავებს და „სამინისტროს“ წარუდგენს, როგორც მწარმოებელთა გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის სქემას (შემდგომში „**სქემა**“), აგრეთვე საკუთარი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიულ/გეოგრაფიულ ფარგლებს;

4.3.4. „მწარმოებლებისაგან“ აგროვებს ნარჩენებს, უზრუნველყოფს შესაბამისი წესით ტრანსპორტირებას და ანაწილებს ნარჩენების გადამუშავების, დამუშავების, დახარისხების, აღდგენის, რეგენერირების, ხელახალი გამოყენებისთვის მომზადების, რეციკლირების, განადგურების (გაუვნებელყოფა/უტილიზაცია) ან/და განთავსების ობიექტებზე;

4.3.5. დებს გარიგებებს ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირების გადამუშავების, დამუშავების, დახარისხების, აღდგენის, რეგენერირების, ხელახალი გამოყენებისთვის მომზადების, რეციკლირების, განადგურების (გაუვნებელყოფა/უტილიზაცია) ან/და განთავსების ოპერატორებთან;

4.3.6. ქმნის და აწარმოებს „ასოციაციის“ სარეზერვო ფონდს , „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად და რეციკლირებადი ნარჩენების/მასალების უარყოფითი საბაზრო ფასის კომპენსაციისთვის, ისევე როგორც, სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯის დასაფარად;

4.3.7. ურთიერთობს სახელმწიფო ორგანოებთან, სხვადასხვა ინდუსტრიების წარმომადგენლებთან, მეწარმე სუბიექტებთან, არასამთავრობო/არაკომერციულ ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

4.3.8. ამზადებს და წარუდგენს წინადადებებს საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე სახელმწიფო ორგანოებს, სხვადასხვა ინდუსტრიების წარმომადგენლებს, მეწარმე სუბიექტებს, არსამთავრობო/არაკომერციულ ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს;

4.3.9. შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს;

4.3.10. ურთიერთობს სხვადასხვა ინდუსტრიების წარმომადგენლებთან, რომელთა საქმიანობის შედეგადაც წარმოიქმნება ნარჩენები, შეგროვების, ტრანსპორტირების, გადამუშავების, გაუვნებელყოფის, უვნებლად განთავსების ერთიანი და გამართული სისტემის ჩამოყალიბების და ფუნქციონირების, ისევე როგორც შესაბამისი გეგმის შემუშავების მიზნებისათვის;

4.1.1. იკვლევს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და დასკვნის სახით წარუდგენს „სამინისტროს“, ისევე როგორც სხვადასხვა ინდუსტრიების წარმომადგენლებს, მეწარმე სუბიექტებს, არსამთავრობო/არაკომერციულ ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს;

4.1.2. ამზადებს და დანიშნულებისამებრ წარადგენს დასკვნებს ინიცირებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით;

4.1.3. ამზადებს და დანიშნულებისამებრ „სამინისტროს“ წარუდგენს „ასოციაციის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშებს;

4.1.4. საჯაროდ აქვეყნებს „ასოციაციის“ საქმიანობის, „ასოციაციის წევრების, „სქემის“ შესახებ და სხვა ისეთი სახის/კატეგორიის ინფორმაციას, რომლის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულებაც, მას, როგორც „მგვ ორგანიზაციას“, ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით;

4.1.5. ამზადებს და დანიშნულებისამებრ „სამინისტროს“ წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას/ანგარიშებს;

4.1.6. შეიმუშავებს სხვადასხვა სახის პროგრამებს და ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, პრეზენტაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს „ასოციაციის“ მიზნების განხორციელებას;

4.1.7. ახორციელებს ყველა და ნებისმიერი ხასიათის საჭირო მოქმედებას ნარჩენების შეგროვების, გადამუშავების, დამუშავების, დახარისხების, აღდგენის, რეგენერირების, ხელახალი გამოყენებისთვის მომზადების, რეციკლირების, განადგურების (გაუვნებელყოფა/უტილიზაცია) ან/და განთავსების და სხვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობისათვის;

4.1.8. მიმართავს სხვა ნებისმიერი ხასიათის ზომას და ახორციელებს ნებისმიერ სხვა მოქმედებას (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ მოქმედებებს), „მგვ ორგანიზაციის“ როლის სრულფასოვნად შეთავსების და გარემოს დაცვის სფეროში საკუთარი ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად.

4.2. „ასოციაციას“ უფლება აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც შეიძლება ატარებდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათს და ემსახურებოდეს მისი „წესდებით“ განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

თავი III. წევრობა

მუხლი 5. წევრები

5.1. წინამდებარე „წესდებით“ განისაზღვრება „ასოციაციის“ წევრების ორი სტატუსი:

5.1.1. დამფუძნებელი წევრები;

5.1.2. ასოცირებული წევრები.

5.2. „ასოციაციის“ წევრობა არ შეიძლება გადავიდეს ან მემკვიდრეობით ერგოს სხვა პირს.

5.3. „ასოციაციის“ ყველა წევრი უფლებამოსილია ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრებაზე და გაეცნოს „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ თავმჯდომარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

5.4. „ასოციაციის“ ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას „ასოციაციის“ „წესდებისა“ და „ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული აქტების, „ასოციაციის“ საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოთხოვნები და „ასოციაციის“ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისას ხელი შეუწყოს „ასოციაციის“ მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

5.5. „ასოციაციის“ ყველა წევრი ვალდებულია შესაბამისი წესით დაფაროს „ასოციაციის“ წინასწარი საწევრო შენატანი („**რეციკლირების გადასახადი**“);

5.6. „ასოციაციის“ ყველა წევრი ვალდებულია შესაბამისი წესით შეავსოს „ასოციაციის“ სარეზერვო ფონდი;

5.7. „ასოციაციის“ ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს „ასოციაციის“ რეპუტაციას და ქონებას.

5.8. „ასოციაციის“ ყველა წევრი ვალდებულია სრულად მიაწოდოს „ასოციაციის“ მისი შიდა-სამართლებრივი სტრუქტურის და უფლებამოსილი წარმომადგენლების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, რომლის წარდგენის ვალდებულებაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „ასოციაციის“ წევრს, როგორც „მწარმოებელს“ ეკისრება, „ასოციაციისათვის“. აგრეთვე, საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ცვლილების შესახებ აცნობოს „ასოციაციის“ თავმჯდომარეს და წარუდგინოს დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამისი მონაცემის ცვლილებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის განმავლობაში, ხოლო წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შემთხვევაში - ცვლილების რეგისტრაციიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. დამფუძნებელი წევრები

6.1. „ასოციაციის“ დამფუძნებელი წევრები არიან:

6.1.1. შპს „ბევრილი ჯგუფი“ (ს/კ 208215821);

6.1.2. შპს „სტარტ პოინტი“ (ს/კ 405481269);

6.1.3. შპს „ჯენტო ტრეიდინგი“ (ს/კ 402019551).

6.2. „ასოციაციის“ დამფუძნებელი წევრები თავად წარმოადგენენ „მწარმოებლებს“, რომლებიც გაერთიანდნენ შესაბამისი ასოციაციის (მგვ ორგანიზაცია“) შექმნის, ჩამოყალიბების, ოპერირების და ნარჩენების ეფექტიანი მართვის მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს პირველად შემადგენლობას განსაზღვრავენ და მას შესაბამისად აკომპლექტებენ „ასოციაციის“ დამფუძნებელი წევრები. „ასოციაციის“ დამფუძნებელი წევრები აგრეთვე ირჩევენ და თანამდებობაზე ნიშნავენ „ასოციაციის“ პირველ თავმჯდომარეს.

6.4. მხოლოდ „ასოციაციის“ დამფუძნებელი წევრები არიან უფლებამოსილნი შეათანხმონ და „ასოციაციის“ საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინონ „ასოციაციის“ თავმჯდომარის კანდიდატურა.

მუხლი 7. ასოცირებული წევრები

7.1. „ასოციაციის“ ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი „მწარმოებელი“, რომელიც იზიარებს „ასოციაციის“ წინამდებარე „წესდებით“ განსაზღვრულ მიზნებს და მიღებულია წევრად „ასოციაციის“ თავმჯდომარის მიერ წინამდებარე „წესდებით“ განსაზღვრული პროცედურის დაცვით.

7.2. „ასოციაციის“ ასოცირებული წევრი, „ასოციაციის“ წარმოდგენილია შესაბამისად წარმომადგენლობაზე და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ამონაწერით „საჯარო რეესტრიდან“ ან სხვა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე აღსრულებული/გაცემული უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტით).

7.3. „ასოციაციის“ ასოცირებული წევრები უფლებამოსილნი არიან წარადგინონ წინადადებები „ასოციაციის“ საქმიანობის ფარგლებში ისეთ საკითხებთან დაკავშირებითაც, რომელთა საბოლოო გადაწყვეტაც შედის „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და „ასოციაციის“ თავმჯდომარის კომპეტენციაში.

მუხლი 8. წევრად მიღება

8.1. „ასოციაციის“ ასოცირებული წევრობის მსურველმა პირმა (შემდგომში, **„კანდიდატი“**) წინამდებარე „წესდებით“ დადგენილი წესით, გაწევრიანების მოთხოვნით უნდა მიმართოს „ასოციაციის“თავმჯდომარეს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადად წინამდებარე „წესდების“, მათ შორის წესდების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის 8.4.8. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

8.2. „კანდიდატი“ უნდა იზიარებდეს „ასოციაციის“ მიზნებს, ეთანხმებოდეს „ასოციაციის“ მიერ განსაზღვრულ და შემუშავებულ „სქემას“, სურდეს ჩაერთოს შემუშავებულ „სქემაში“ და იცავდეს წინამდებარე „წესდების“, ასევე „ასოციაციის“ მიერ მიღებული სხვა აქტების, „ასოციაციის“წევრთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და თავმჯდომარის გადაწყვეტილებების მოთხოვნებს.

8.3. „კანდიდატი“ თავისი საქმიანობის ფარგლებში უნდა იცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნარჩენების მართვის მოთხოვნებს და სურვილი ქონდეს ხელი შეუწყოს „ასოციაციის“ მიზნების განხორციელებას.

8.4. „კანდიდატის“ თავმჯდომარისათვის წარდგენილ წერილობით განცხადებას „ასოციაციაში“ გაწევრიანების თაობაზე თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:

8.4.1. „კანდიდატის“ რეგისტრაციის/დაფუძნების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი „საჯარო რეესტრიდან“);

8.4.2. ამონაწერი „საჯარო რეესტრთან“ არსებული ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან;

8.4.3. „კანდიდატის“ წესდების ასლი (დამოწმებული სანოტარო წესით, „ასოციაციის“ მოთხოვნის შემთხვევაში), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

8.4.4. „კანდიდატის“ უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება „ასოციაციაში“ გაწევრიანების თაობაზე (დასახელებულ

გადაწყვეტილებაზე „კანდიდატის“ უფლებამოსილ პირთა ხელმოწერები უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი წესით (სანოტარო წესით „ასოციაციის“ მოთხოვნის შემთხვევაში);

8.4.5. „კანდიდატის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დამოწმებული სანოტარო წესით ასოციაციის მოთხოვნის შემთხვევაში);

8.4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი იმ პირის, რომელიც წარმოადგენს „კანდიდატს“ (იმ შემთხვევაში, თუკი მიმართვას წარადგენს მინდობილი პირი);

8.4.7. წინამდებარე „წესდების“ 8.4.5. პუნქტით გათვალისწინებული მინდობილობა (დამოწმებული სანოტარო წესით ასოციაციის მოთხოვნის შემთხვევაში), ამავე პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას.

8.4.8. „კანდიდატის“ ბიზნეს პროფილი, რომელიც დაადასტურებს, რომ „კანდიდატი“ წარმოადგენს „მწარმოებელს“ კონკრეტული ინდუსტრიის სფეროში და საჭიროებს ნარჩენების მართვას, ხელმოწერილი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

8.4.8.1. „კანდიდატის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებების აღწერას;

8.4.8.2. ინფორმაციას „კანდიდატის“ ადგილსამყოფელის/იურიდიული მისამართის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა) და ვებ-გვერდის მისამართს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.4.8.3. იმ გარემოებების/პირობების ჩამონათვალს, რატომაც „კანდიდატი“ თვლის, რომ მისი „ასოციაციაში“ გაწევრიანება მას დაეხმარება მის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ეფექტურ მართვაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რითაც აგრეთვე ხელი შეეწყობა „ასოციაციის“ მიზნების განხორციელებას;

8.4.8.4. იმ შემთხვევაში, თუ „კანდიდატი“ „ასოციაციაში“ გაწევრიანების შესახებ მოთხოვნის წარდგენამდე წარმოადგენდა სხვა „მგვ ორგანიზაციის“ წევრს, მან წერილობით განცხადებას აგრეთვე თან უნდა დაურთოს წინა „მგვ ორგანიზაციის“ წევრობის და შესაბამისი ურთიერთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დადასტურებული სანოტარო წესით ასოციაციის მოთხოვნის შემთხვევაში).

8.5. წინამდებარე „წესდების“ 8.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები „კანდიდატის“ მიერ წარდგენილ უნდა იქნას საბოლოო რედაქციით, ამასთან მოქმედი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტების თარიღი არ უნდა ჩამორჩებოდეს „კანდიდატის“ მიერ წარდგენილი განცხადების თარიღს 1 (ერთ) კვირაზე მეტით.

8.6. „კანდიდატის“ განცხადების საფუძველზე, მისი „ასოციაციის“ გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას თავმჯდომარე იღებს ერთპიროვნულად, „ასოციაციის“ მიზნებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე. აღნიშნული წერილობითი გადაწყვეტილება „კანდიდატს“ უნდა მიეწოდოს „ასოციაციის“ თავმჯდომარის მიერ წინამდებარე „წესდების“ 8.1.

პუნქტის შესაბამისად „კანდიდატის“ მიერ „ასოციაციაში“ გაწევრიანებაზე მოთხოვნის დაფიქსირებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში.

8.7. წინამდებარე „წესდების“ 8.6. პუნქტით გათვალისწინებული თავმჯდომარის გადაწყვეტილება ხელმოწერილი უნდა იყოს თავმჯდომარის მიერ და მოწმდებოდეს „ასოციაციის“ ბეჭდით (თუ ასოციაცია იყენებს ბეჭედს). აგრეთვე გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს „ასოციაციასა“ და „კანდიდატს“ შორის ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების ვადა.

8.8. წინამდებარე „წესდების“ 8.6. და 8.7. პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებით „ასოციაციასა“ და „კანდიდატს“ შორის ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვისას, თუ კანდიდატი ნებისმიერი მიზეზით ვერ მოახერხებს „ასოციაციასთან“ ხელშეკრულების გაფორმებას, დასახელებული გადაწყვეტილება ჩაითვლება გაუქმებულად და „კანდიდატი“ ვერ მიიღებს „ასოციაციის“ ასოცირებული წევრის სტატუსს.

8.9. „კანდიდატი“ ასოცირებული წევრის სტატუსს მიიღებს თავმჯდომარის მიერ მისი გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების და „ასოციაციასთან“ ურთიერთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ამასთან, ასოცირებული წევრის წინამდებარე „წესდებით“ გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები „კანდიდატს“ წარმოეშობა „ასოციაციასთან“ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან.

მუხლი 9. წევრობის შეწყვეტა

9.1. „ასოციაციის“ წევრობა წყდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში, ლიკვიდაციის, საქმიანობის შეწყვეტის ან/და ისეთი კომერციული რეორგანიზაციის შედეგად, რომელიც გამორიცხავს წევრის „ასოციაციის“ წევრობის საფუძველს, ნებაყოფლობითი გასვლის ან „ასოციაციის“ წევრის მიერ საკუთარი ვალდებულებების დარღვევისას „ასოციაციიდან“ გარიცხვის საფუძველზე.

9.2. ნებისმიერ წევრს აქვს „ასოციაციის“ ნებაყოფლობით დატოვების უფლება „ასოციაციის“ თავმჯდომარისთვის მიმართვით წერილობითი განცხადების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ წევრს შესრულებული აქვს ყველა ვალდებულება „ასოციაციის“ წინაშე. ამასთან, წევრმა „ასოციაცია“ ნებაყოფლობით შეიძლება დატოვოს მხოლოდ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, რა დროსაც საანგარიშო პერიოდად ითვლება დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ახალგაწევრიანებული მწარმოებელი სუბიექტისათვის – გაწევრიანების თარიღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. იმ შემთხვევაში თუ წესდებით განსაზღვრული საანგარიშო პერიოდი შესაძლებელია არ დაემთხვეს მწარმოებლის მიზნებისთვის კანონით დადგენილი საანგარიშო პერიოდის განმარტებას, მაშინ მოქმედებს კანონით განსაზღვრული საანგარიშო პერიოდის განმარტება.

9.3. იმ შემთხვევაში, თუკი „ასოციაციის“ წევრი „ასოციაციას“ ტოვებს წინამდებარე წესდების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გარდა, ასოციაციის წევრობიდან ნებაყოფლობითი გასვლისა და წევრობიდან გარიცხვის შემთხვევებისა, „ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს „ასოციაციის“ თავმჯდომარე ერთპიროვნულად. აღნიშნული გადაწყვეტილება „მწარმოებელს“ ბარდება წინამდებარე

„წესდების“ 9.2. პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი განცხადების წარდგენიდან 1 (ერთი) კვირის განმავლობაში.

9.4. წესდების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტში წევრობის შეწყვეტის განსაზღვრულ იმ შემთხვევაში, თუკი „ასოციაციის“ წევრი „ასოციაციას“ ტოვებს ნებაყოფლობით, ამ საფუძვლითაც, „ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს „ასოციაციის“ თავმჯდომარე ერთპიროვნულად, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მე-9 მუხლის 9.2 პუნქტში განსაზღვრული გარემოებები (საანგარიშო პერიოდი და დავალიანების არ ქონა), ხოლო განაცხადი ნებაყოფლობით გასვლაზე წარმოდგენილ უნდა იქნას 9.2 პუნქტში განსაზღვრული მიმდინარე საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე, კერძოდ კი საანგარიშო პერიოდის 20 დეკემბრიდან- 31 დეკემბრის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო პერიოდის 05 იანვრისა. განაცხადის განხილა- გადაწყვეტის ვადა მოიცავს შემდეგ პერიოდს: განაცხადის წარმოდგენის ახალი საანგარიშო თვის 01 იანვრიდან - იანვრის თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით, მათ შორის 01 იანვრიდან - 05 იანვრის ჩათვლით წარმოდგენილი განაცხადის განხილვა- გადაწყვეტის ბოლო ვადად განისაზღვრება იანვრის თვის ბოლო რიცხვი.

9.5. „ასოციაციიდან“ წევრის გარიცხვის უფლება აქვს „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წინამდებარე „წესდების“ მე-13 მუხლით დადგენილი წესით. ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზები მიჩნეულ იქნება წევრის „ასოციაციიდან“ გარიცხვის საფუძვლად:

9.5.1 საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებული ან/და სხვაგვარად აღიარებული საერთაშორისო შეთანხმებების, კონვენციების და სხვა საერთაშორიშო აქტების ისეთი უხეში დარღვევა, რომელიც ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე გამორიცხავს ასოციაციის მიზნების, ამოცანების და ასევე ასოციაციის პრესტიჟის გათვალისწინებით, მისი შემდგომი ასოციაციის წევრობას;

9.5.2 „ასოციაციის“ „წესდების“ არსებითად დარღვევა;

9.5.3 „ასოციაციის“ ან მისი წევრის მიმართ განხორციელებული არასათანადო ქმედება;

9.5.4 „ასოციაციის“ წევრობის მოპოვებისას არასწორი ინფორმაციის წარდგენა;

9.5.5 „ასოციაციის“ სარეზერვო ფონდის შევსებაზე ერთჯერადი უარი;

9.5.6 „რეციკლირების გადასახადის“ გადაუხდელობა ზედიზედ 2 ორჯერ.

9.6 „ასოციაციის“ წევრის გარიცხვის შესახებ „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას, „ასოციაციის“ თავმჯდომარე აცნობებს შესაბამის წევრს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში.

9.7 „ასოციაციის“ წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და წევრი კარგავს „ასოციაციის“ წევრობის სტატუსს. „ასოციაციის“ წევრის გარიცხვისას, „მწარმოებელს“ გარდა „ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტისა, პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.8 „ასოციაციის“ წევრის გარიცხვის შემთხვევაში, „მწარმოებლის“ მიერ წინამდებარე „წესდების“ 9.6. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე გადახდილი

„რეციკლირების გადასახადი“ დაბრუნებას არ ექვემდებარება და აღნიშნულს „ასოციაცია“ გამოიყენებს როგორც სანქციას „მწარმოებლის“ წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ წინამდებარე „წესდების“ 9.4. პუნქტით გათვალისწინებული დარღვევებისათვის.

9.9 „მწარმოებლის“ მიერ „ასოციაციის“ წევრობის შეწყვეტის მომენტიდან „ასოციაცია“ პასუხს აღარ აგებს გარემოს დაცვის სფეროში და ნარჩენების მართვის კუთხით „მწარმოებლის“ გაფართოებულ ვალდებულებებზე და „მწარმოებელი“ თავად უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებთან შესაბამისობას.

თავი IV. მართვა და წარმომადგენლობა

მუხლი 10. მართვა და წარმომადგენლობა

10.1. „ასოციაციის“ მართვის ორგანოებს წარმოადგენენ „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრება, ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭო და თავმჯდომარე.

10.2. „ასოციაციის“ სრული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილია თავმჯდომარე.

მუხლი 11. წევრთა საერთო კრება

11.1. „ასოციაციის“ მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება. წევრთა საერთო კრება იმართება წელიწადში ერთხელ მაინც და იგი მოიწვევა „ასოციაციის“ თავმჯდომარის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება „ასოციაციის“ ყველა დამფუძნებელი წევრი (დამფუძნებელი წევრი, რომელსაც ეხება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება და ამავდროულად უარი არ აქვს გაცხადებული წევრობაზე) და ასოცირებულ წევრთა 1/2 (ერთი მეორედი) მაინც. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში, განმეორებითი წევრთა საერთო კრება იმავე დღის წესრიგით მოიწვევა, წევრთა საერთო კრების ჩატარებისათვის დადგენილი წესით, სამეთვალყურეო საბჭოს დამატებითი გადაწყვეტილების გარეშე და განმეორებითი საერთო კრება უფლებამოსილია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

11.2. „ასოციაციის“ წევრთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს „ასოციაციის“ თავმჯდომარეს.

11.3. „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების დღის წესრიგის შემუშავებასა და „ასოციაციის“ წევრებისათვის გასაცნობად წარდგენას უზრუნველყოფს „ასოციაციის“ თავმჯდომარე.

11.4. „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრება ტარდება მოწვევის შესახებ განცხადებისა და დღის წესრიგის ბეჭდვით ორგანოში ან/და „ასოციაციის“ ვებ-გვერდზე ან/და ასოციაციის კუთვნილი/მფლობელობაში არსებულ შესაბამის ელექტრონულ რესურსზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუადრეს 10 (ათი) დღისა, რა დროსაც წევრებისადმი გაგზავნილი შეტყობინება კრების მოწვევის თაობაზე ჩაითვლება განხორციელებულად და მხარისადმი ჩაბარებულ შეტყობინებად, მოწვევის შესახებ განცხადების გაგზავნით ასოციაცის წევრთან საკონტაქტო ელექტრონულ მეილზე, გაგზავნიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღეს.

11.5. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა წინამდებარე „წესდების“ 11.2.-ის შესაბამისად, შესაძლებელია განხორციელდეს წინამდებარე „წესდების“ 11.4. პუნქტის მიხედვით დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა.

11.6. დადგენილი დღის წესრიგის ცვლილების შემთხვევაში, დღის წესრიგში ცვლილებების გამოქვეყნება წარმოებს არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

11.7. „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრებას უძღვება „ასოციაციის“ თავმჯდომარე.

11.8. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით საერთო კრების თარიღზე „ასოციაციის“ თავმჯდომარე ვერ შეძლებს გაუძღვეს საერთო კრებას, მის ფუნქციებს შეითავსებს მისი ერთ-ერთი მოადგილე, თამჯდომარის მიერ გაცემული (მოთხოვნის შემთხვევაში სანოტარო წესით დამოწმებული) მინდობილობის საფუძველზე.

11.9. „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების მსვლელობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს „ასოციაციის“ თავმჯდომარე ან/და მისი ერთ-ერთი მოადგილე წინამდებარე „წესდების“ 11.8. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში. „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების ოქმი უნდა დამოწმდეს სათანადო წესით.

11.10. „ასოციაციის“ საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

11.10.1. „ასოციაციის“ „წესდებაში“ ცვლილებების/დამატებების შეტანა ან/და ახალი რედაქციით წესდების დამტკიცება;

11.10.2. „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მომზადებული, შემუშავებული და გაანგარიშებული „ასოციაციის“ წლიური ბიუჯეტის, ისევე როგორც „რეციკლირების გადასახადის“ ოდენობების და სარეზერვო ფონდის დამტკიცება;

11.10.3. „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამტკიცება;

11.10.4. „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გათავისუფლება;

11.10.5. „ასოციაციის“ თავმჯდომარის დამტკიცება.

11.11. წინამდებარე „წესდების“ 11.10. პუნქტში გათვალისწინებული საკითხების გარდა, „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრებაზე ასევე ხორციელდება „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს ან/და თავმჯდომარის ანგარიშების მოსმენა „ასოციაციის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

11.12. „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებას წინამდებარე „წესდების“ 11.10. პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე იღებს უბრალო უმრავლესობით.

11.13. კენჭისყრა „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრებაზე არის ღია.

11.14. „ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუკი განმეორებით კენჭისყრაზეც თანაბრად გაიყო ხმები, ასეთ შემთხვევაში, „ასოციაციის“ თავმჯდომარეს (ან მისი არყოფნის შემთხვევაში, წინამდებარე „წესდების“ 11.8. პუნქტის შესაბამისად დანიშნულ მის მოადგილეს) ენიჭება გადამწყვეტი ხმა.

11.15 წინამდებარე მუხლით განსაზღვრული საერთო კრების ჩატარება და ხმის მიცემა შესაძლოა განხორციელდეს ასოციაციის კუთვნილი ან/და მფლობელობაში არსებული, ბიზნეს ურთიერთობებისათვის საამისოდ აპრობირებული და ასოციაციის მიერ დანერგილი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რა დროსაც წესდების მე-11 მუხლის 11.4 პუნქტით

განსაზღვრული შეტყობინება საერთო კრების მოწვევის თაობაზე ჩაითვლება განხორციელებულად და მხარისადმი ჩაბარებულ შეტყობინებად, მოწვევის შესახებ განცხადებისა და დღის წესრიგის „ასოციაციის" ვებ-გვერდზე ან/და ასოციაციის კუთვნილ შესაბამის ელექტრონულ რესურსზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

11.16 ასოციაციის საერთო კრების მიერ წინამდებარე წესდების მე-11 მუხლის 11.10 პუნქტის 11.10.1 პუნქტში განსაზღვრული წესდების, ზედიზედ ორჯერ, ახალი რედაქციით არ დამტკიცების ან/და ცვლილებების და დამატებების არ შეტანის შემთხვევაში, წესდების ახალი რედაქციით დამტკიცება ან/და მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში გადადის და განხორციელდება მე-13 მუხლის შესაბამისად.

11.17ასოციაციის საერთო კრების მიერ წინამდებარე წესდების მე-11 მუხლის 11.10 პუნქტის 11.10.2 პუნქტში განსაზღვრული „ასოციაციის" წლიური ბიუჯეტის, ისევე როგორც „რეციკლირების გადასახადის" და სარეზერვო ფონდის ზედიზედ ორჯერ არ დამტკიცების შემთხვევაში, მათი დამტკიცების ფუნქცია სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში გადადის და განხორციელდება მე-13 მუხლის შესაბამისად;

11.18წესდების 11.15 პუნქტში განსაზღვრული საერთო კრების ჩატარების და ხმის მიცემის წესი და პირობები დარეგულირდება ასოციაციის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული შესაბამისი აქტით.

მუხლი 12. სამეთვალყურეო საბჭო

12.1. „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭო არის 5 (ხუთი) ფიზიკური პირისაგან შემდგარი „ასოციაციის" მმართველობითი ორგანო.

12.2. „ასოციაციის" თავმჯდომარე ავტომატურად შედის „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში. „ასოციაციის" დამფუძნებელ წევრები ვალდებულნი არიან მოილაპარაკონ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეჯერდნენ და „ასოციაციის" წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინონ „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის 2 (ორი) კანდიდატი. ასოცირებული წევრები, თავის მხრივ, „ასოციაციის" წევრთა საერთო კრებაზე დასამტკიცებლად წარადგენენ „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის აგრეთვე 2 (ორ) კანდიდატს. „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას საბოლოოდ ამტკიცებს „ასოციაციის" წევრთა საერთო კრება წინამდებარე „წესდების" მე-11 მუხლით გათვალისწინებული წესით.

12.3. იმ შემთხვევაში, თუკი დამფუძნებელი წევრები შიდა მოლაპარაკებების საფუძველზე ვერ შეჯერდებიან „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის 2 (ორ) კანდიდატზე, რომელთა შესახებაც ინფორმაცია საბოლოოდ დასამტკიცებლად თავმჯდომარემ უნდა წარუდგინოს „ასოციაციის" წევრთა საერთო კრებას, თავმჯდომარე ვალდებულია გამოკითხოს „ასოციაციის" დამფუძნებელი წევრები, შეაგროვოს ცნობები კანდიდატების შესახებ და ჩაატაროს ფარული კენჭისყრა წინამდებარე „წესდების" 12.4. და 12.5. პუნქტებით გათვალისწინებული წესით.

12.4. „ასოციაციის" ასოცირებული წევრები სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის 2 (ორ) კანდიდატზე თანხმდებიან ფარული კენჭისყრით. კერძოდ, „ასოციაციის" თითოეული ასოცირებული წევრი თავმჯდომარეს აწვდის ინფორმაციას საკუთარი 1 (ერთი) კანდიდატის შესახებ. თავმჯდომარე ადგენს შესაბამისი კანდიდატების სიას და ასოცირებულ წევრთა შორის ატარებს ფარულ

კენჭისყრას, მის მიერ ერთპიროვნული დისკრეციით შერჩეული ფორმით. ფარულ კენჭისყრაში თითოეულ ასოცირებულ წევრს ენიჭება 1 (ერთი) ხმა. კენჭისყრის შედეგად აირჩევა ყველაზე მეტი ხმის მქონე 2 (ორი) კანდიდატი, რომელთა შესახებაც ინფორმაციას „ასოციაციის" წევრთა საერთო კრებას აწვდის თავმჯდომარე.

12.5. იმ შემთხვევაში, თუკი ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა თანაბრად გადანაწილების გამო ვერ ვლინდება ყველაზე მეტი ხმის მქონე 2 (ორი) კანდიდატი, თავმჯდომარე ატარებს დამატებით კენჭისყრას იმ კანდიდატებს შორის, რომელთაც უფიქსირდებათ თანაბარი ხმები. თავმჯდომარე პასუხისმგებელია კენჭისყრის გამართულად ჩატარებაზე და მისი შედეგების სიზუსტეზე.

12.6. წინამდებარე „წესდების" 6.3. პუნქტის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს პირველად შემადგენლობას განსაზღვრავენ და მის წევრებს ირჩევენ „ასოციაციის" დამფუძნებელი წევრები 3 (სამი) წლის ვადით.

12.7. „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს „ასოციაციის" წევრი, რომელსაც გააჩნია „ასოციაციის" მიზნებისა და ამოცანების განხორციელების რეალური პოტენციალი და აუცილებლობა, შესაბამისი წესით ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. აღნიშნული არ უნდა განიმარტოს შეზღუდვად, „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს ნებისმიერი გარეშე პირი, თუკი მას წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენენ „ასოციაციის" დამფუძნებელი წევრები წინამდებარე „წესდების" 12.2. პუნქტის შესაბამისად ან/და „ასოციაციის" ასოცირებული წევრები წინამდებარე „წესდების" 12.3. პუნქტის შესაბამისად.

12.8. „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით, თუ „ასოციაციის" წევრთა საერთო კრების ოქმით სხვაგვარად არ განისაზღვრა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ 3 (სამ) წლიანი ვადის გასვლის შემდეგ არ ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადარჩევა, მას უფლებამოსილება უგრძელდება, მანამ, სანამ „ასოციაციის" წევრთა საერთო კრება სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

12.9. „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება ვადაზე ადრე გათავისუფლდეს მის მიერ წინამდებარე „წესდებით" ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში და სხვა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არანაკლებ ნახევარზე მეტის მიერ თავმჯდომარისათვის წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი მოთხოვნის არსებობისას, თავმჯდომარე იწვევს „ასოციაციის" წევრთა რიგგარეშე საერთო კრებას. „ასოციაციის" წევრთა საერთო კრება წინამდებარე „წესდების" მოცემული პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს წინამდებარე „წესდების" მე-11 მუხლით გათვალისწინებული წესით. თუ „ასოციაციის" წევრთა საერთო კრებაზე გადაწყდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გათავისუფლება, „ასოციაციის" წევრთა საერთო კრება ვალდებულია დაამტკიცოს „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა წინამდებარე „წესდების" 12.2. პუნქტით გათვალისწინებული წესით სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში, რათა არ შეფერხდეს „ასოციაციის" საქმიანობა.

12.10. „ასოციაციის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ „ასოციაციის" ნებაყოფლობით დატოვების ან/და მისი გარდაცვალების შემთხვევაში, „ასოციაციის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით „ასოციაციის" წევრთა საერთო კრება ვალდებულია დაამტკიცოს „ასოციაციის" სამეთვალყურეო

საბჭოს ახალი შემადგენლობა წინამდებარე „წესდების“ 12.2. პუნქტით გათვალისწინებული წესით სამეთვალყურეო საბჭოს მიერ „ასოციაციის“ ნებაყოფლობით დატოვებიდან ან/და მისი გარდაცვალებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში, რათა არ შეფერხდეს „ასოციაციის“ საქმიანობა.

მუხლი 13. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა

13.1. „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას იწვევს „ასოციაციის“ თავმჯდომარე 3 (სამ) თვეში ერთხელ მაინც, ან ნებისმიერ დროს, თუ აღნიშნული შედის „ასოციაციის“ ინტერესებში. ამასთან, თავმჯდომარე დაუყოვნებლივ იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას, თუ აღნიშნული წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნა უნდა შეიცავდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის მიზეზსა და შესაბამის დღის წესრიგს.

13.2. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარების შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით (რაც მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციის ფორმას), თუ არ ხორციელდება დაუყოვნებლივი ფორმით, და უნდა გაეგზავნოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს სხდომის თარიღამდე ოცი (20) დღით ადრე მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევის შემთხვევაში, თოთოეული სამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის შეტყობინების მიწოდება ხორციელდება ზეპირად ან წერილობით და კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით.

13.3. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ წევრს შეუძლია შეიტანოს საკითხი დღის წესრიგში სხდომამდე 1 (ერთი) კვირით ადრე. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს უნდა ეცნობოს შეთანხმებული დღის წესრიგის თაობაზე.

13.4. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მის თითოეულ წევრს აქვს 1 (ერთი) ხმა.

13.5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებას ნებისმიერ საკითხზე იღებს დამსწრე ხმათა უმრავლესობით. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია დააფიქსიროს თავისი პოზიცია კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას (დაუჭიროს მხარი გადაწყვეტილების მიღებას ან განაცხადოს უარი). დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრმა თავი შეიკავოს გადაწყვეტილების მიღებაზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისგან.კვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საერთო ოდენობის ნახევარზე მეტი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც არ ესწრებიან სხდომას, შეუძლიათ მასში მონაწილეობა მიიღონ წერილობითი შეტყობინებების გაგზავნით (რაც მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციის ფორმას) და მათი ხმები გაუთანაბრდება პირადად მიცემულ ხმებს. სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შესაძლებელია წარმოადგენდნენ ამ უკანასკნელთა უფლებამოსილი წარმომადგენლებიც (ასეთ შემთხვევაში, მათ თავიანთი უფლებამოსილება უნდა დაადასტურონ სანოტარო ფორმით დამოწმებული მინდობილობით). იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე კვორუმი არ შედგა, განმეორებითი სხდომა ტარდება მომდევნო დღეს. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს ის, უთანაბრდება შესაბამისი წესით ჩატარებულ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

13.6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რომელიც უნდა დამოწმდეს სათანადო წესით.

მუხლი 14. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

14.1. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

14.1.1. „ასოციაციის“ საქმიანობის წლიური შედეგების დამტკიცება;

14.1.2. „ასოციაციის“ წლიური აუდიტის შედეგების დამტკიცება;

14.1.3. „ასოციაციის“ წევრის გარიცხვა;

14.1.4. „ასოციაციის“ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიშების შედგენა და დამტკიცება;

14.1.5. „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

14.1.6. „ასოციაციის“ წლიური ბიუჯეტის, ისევე როგორც „რეციკლირების გადასახადის“ გაანგარიშება, სარეზერვო ფონდის და მისი შევსების კვოტების თაობაზე შესაბამისი პროექტების მომზადება და თავმჯდომარის შუამავლობით „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;

14.1.7. ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული სარეზერვო ფონდის, სრული მოცულობით მართვა/განკარგვა, ასოციაციის ინტერესებიდან გამომდინარე ან/და ასოციაციის თავმჯდომარისათვის სარეზერვო ფონდის მართვა/განკარგვაზე უფლებამოსილების მინიჭება წინამდებარე წესდების მე-13 მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად;

14.1.8. წინამდებარე „წესდების“ 14.1.7 ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე გადახდის გრაფიკების, ვადების შემუშავება და დამტკიცება;

14.1.9. „ასოციაციის“ „წესდების“/„წესდებაში“ (სარეგისტრაციო განაცხადში) ცვლილებების პროექტის შემუშავება და თავმჯდომარის შუამავლობით „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;

14.1.10. „ასოციაციის“ მიერ გასაფორმებელი ნებისმიერი ისეთი ხელშეკრულების პროექტის დამტკიცება, რომლის საერთო ღირებულება აღემატება 150,000 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში);

14.1.11. ასოციაციის საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, მათ შორის ასოციაციის სარეზერვო ფონდის მართვა/განკარგვის თაობაზე 14.1.8 ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ანგარიშის წარდგენა;

14.1.12. „ასოციაციის“ ფილიალების შექმნა, ფილიალების დებულებების დამტკიცება და მათი ხელმძღვანელი პირების დანიშვნა;

14.1.13. წინამდებარე „წესდების“ 15.6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ასოციაციის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება;

14.1.14. „ასოციაციის“ საქმიანობის შეწყვეტასთან (ლიკვიდაციასა ან რეორგანიზაციასთან) დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება (ამგვარი გადაწყვეტილება საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის ხმათა ერთიანობას).

14.1.15. წინამდებარე წესდების მე-11 მუხლის 11.16 პუნქტის შესაბამისად, ასოციაციის წესდებაში ცვლილებების/დამატებების შეტანა ან/და ახალი რედაქციით წესდების დამტკიცება.

14.1.16. წინამდებარე წესდების 15.5. პუნქტის შესაბამისად ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

14.1.17. წინამდებარე წესდების მე-11 მუხლის 11.17 პუნქტის შესაბამისად, „ასოციაციის" წლიური ბიუჯეტის, ისევე როგორც „რეციკლირების გადასახადის" და სარეზერვო ფონდის დამტკიცება.

14.2. სამეთვალყურეო საბჭო „ასოციაციის" „რეციკლირების გადასახადის" ოდენობის დადგენისას, მათ შორის, ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული წესებით, ცალკეული პროდუქტის ან მსგავსი პროდუქტების ჯგუფების სპეციფიკაციებით, პროდუქტების გამძლეობით, მათი შეკეთების, ხელახლა გამოყენებისა და რეციკლირების შესაძლებლობით და მათში სახიფათო ნივთიერებების არსებობით.

14.3 სამეთვალყურეო საბჭო „ასოციაციის" სარეზერვო ფონდის და მისი შევსების კვოტების დადგენის დროს, რომლის პროექტი შემდგომში ასოციაციის საერთო კრებაზე უნდა წარადგინოს, ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ სარეზერვო ფონდი უნდა მომხარდეს რეციკლირებადი ნარჩენების/მასალების უარყოფითი საბაზრო ფასის კომპენსაციას და ასევე სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯის დაფარვას.

მუხლი 15 ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

15.1. „ასოციაციის" ყოველდღიური საქმიანობის მართვისათვის, და კონკრეტული ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნებისათვის, „ასოციაციის" წევრთა საერთო კრება 6 (ექვსი) წლის ვადით ამტკიცებს „ასოციაციის" თავმჯდომარეს (გარდა პირველი თავმჯდომარისა, რომელსაც ირჩევენ და თანამდებობაზე ნიშნავენ „ასოციაციის" დამფუძნებელი წევრები), რომელსაც დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად ენიჭება წინამდებარე „წესდებით" განსაზღვრული უფლებამოსილებები.

15.2. „ასოციაციის" თავმჯდომარე სრულად ხელმძღვანელობს და წარმოადგენს „ასოციაციას.

15.3. „ასოციაციის" თავმჯდომარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია.

15.4. „ასოციაციის" თავმჯდომარის კომპეტენციაა:

15.4.1. ასოციაციის წევრის მიღება ან გაწევრიანებაზე უარის თქმა;

15.4.2. „ ასოციაციის" საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრა - დამტკიცება;

15.4.3 „ასოციაციის" მუდმივი ან დროებითი კომისიების, კომიტეტების, ჯგუფების შექმნა, მათი შემადგენლობებისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა;

15.4.4 „ასოციაციის" საქმიანობიდან გამომდინარე და კონკრეტული მიმართულებების გაძღოლის მიზნებისათვის საკუთარი მოადგილეების დანიშვნა

15.4.5 „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევა და გაძღოლა, დღის წესრიგში ცვლილებების და დამატებების შეტანა;

15.4.6 „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, „ასოციაციის“ საერთო კრების მოწვევა და გაძღოლა, დღის წესრიგში ცვლილებების და დამატებების შეტანა;

15.4.7 ფარული კენჭისყრების ჩატარება წინამდებარე „წესდების“ მე-12 მუხლით გათვალისწინებული წესით;

15.4.8 „ასოციაციის“ ემბლემის, სიმბოლიკის შემუშავება და დამტკიცება, „ასოციაციის“ საქმიანობის დაგეგმვა და განსახორციელებელი პოლიტიკის დადგენა

15.4.9 „ასოციაციის“ მიერ სხვადასხვა აქტივების/ქონების, რომელთა ღირებულებაც არ აღემატება 150,000 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში) შეძენა, გასხვისება ან ვალდებულებით დატვირთვა;

15.4.10 „ასოციაციის“ წევრებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობის ორგანიზება;

15.4.11 გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენა და „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე წარდგენა;

15.4.12 „ასოციაციის“ წევრებთან ერთად საკანონმდებლო პროექტების შემუშავება და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მიწოდება;

15.4.13 „სამინისტროსთვის“ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და დადგენილი პერიოდულობით „ასოციაციის“ სხვადასხვა ანგარიშების წარდგენა და „სამინისტროს“ შესაბამისი წესით ინფორმირება;

15.4.14 სხვადასხვა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტის ან კონკრეტულ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნების მიწოდება „სამინისტროსთვის“ ან/და სახელმწიფო ორგანოებისათვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის;

15.4.15 სხვა ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც წინამდებარე „წესდების“ შესაბამისად არ განეკუთვნება „ასოციაციის“ სხვა ორგანოთა კომპეტენციას.

15.4.16 „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს და წევრთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება;

15.4.17 „ასოციაციის“ სახელით ხელშეკრულებების, შეთანხმებების გაფორმება, მოლაპარაკებების წარმართვა, მინდობილობების გაცემა, ბრძანების გამოცემა და სხვა;

15.4.18 „ასოციაციის“ სამუშაო ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და გადაწყვეტილებების მიღება ყოველდღიური საქმიანობის სფეროში;

15.4.19 „ასოციაციის“ სახელით საბანკო ან/და ნებისმიერ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობა, ანგარიშების გახსნა ეროვნულ ან/და უცხოურ ვალუტაში საბანკო დაწესებულებებში, ფინანსური ან/და სხვა ოფიციალური დოკუმენტების დამტკიცება და ხელის მოწერა;

მუხლი 16. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

16.1. „ასოციაციის“ თავმჯდომარე ყოველწლიურად ადგენს შესაბამის ანგარიშს „ასოციაციის“ ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და წარუდგენენ მას სამეთვალყურეო საბჭოს.

16.2. თავმჯდომარე აწარმოებს ჩანაწერებს მის და „ასოციაციის“ მიერ შესრულებული სამუშაოს თაობაზე.

16.3. „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ნიშნავს დამოუკიდებელ აუდიტს, რომელიც ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

16.4. „ასოციაციის“ თავმჯდომარე ან/და მისი მოადგილეები უზრუნველყოფენ „ასოციაციის“ ბუღალტრული წიგნების შესაბამისობას საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან.

16.5. „მგვ რეესტრს“ აწარმოებენ „ასოციაციის“ თავმჯდომარე ან/და მისი მოადგილეები (რეესტრში შეიტანება ინფორმაცია მათ შორის „რეიკლირების გადასახადის“ შესახებ).

თავი V. სხვადასხვა

მუხლი 17. „ასოციაციის“ ქონება

17.1. „ასოციაციის“ შემოსავლის წყაროებია:

16.12.1. „რეიკლირების გადასახადი“ „რეიკლირების გადასახადს“ იხდის „ასოციაციის“ ყველა წევრი);

16.12.2. სარეზერვო ფონდისთვის განკუთვნილი შენატანები/ფულადი სახსრები;

16.12.3. გრანტით მიღებული სახსრები და ქონება;

16.12.4. შემოწირულობები;

16.12.5. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

17.2. „ასოციაციის“ უფლება აქვს ფლობდეს ნებისმიერ მოძრავ და უძრავ ქონებას, გარდა ბრუნვიდან ამოღებული ქონებისა.

17.3. „ასოციაციის“ შემოსავალი გამოიყენება მისი მიზნების მისაღწევად. დაუშვებელია მოგების განაწილება „ასოციაციის“ წევრთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ან/და თავმჯდომარეს შორის.

17.4. „ასოციაციის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში, კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ, „ასოციაციის“ ქონება გამოყენებულ იქნება წინამდებარე „წესდებით“ განსაზღვრული მიზნების შესრულებისათვის.

მუხლი 18. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

18.1. „ასოციაციის“ რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

18.2. „ასოციაციის“ ლიკვიდაცია ხდება:

18.2.1. გადახდისუუნარობის შემთხვევაში ან თუ შეუძლებელი გახდება წინამდებარე „წესდებით“ განსაზღვრული მიზნების მიღწევა;

18.2.2. თუ „ასოციაციას“ “ გაუუქმდა „სამინისტროსგან“ მიღებული ავტორიზაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების არსებობისას;

18.2.3. თუ „ასოციაციის“ მთავარ საქმიანობად იქცევა სამეწარმეო საქმიანობა;

18.2.4. „ასოციაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

18.2.5. თუ მიღწეულ იქნა „ასოციაციისს“ მიზნები;

18.2.6. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში.

18.3. „ასოციაციის“ ლიკვიდაციას ახორციელებენ „ასოციაციის“ თავმჯდომარე ან/და დანიშნული ლიკვიდატორი.

18.4. ლიკვიდაციის პროცესისას შეჩერებულ უნდა იქნეს ყველა მიმდინარე ოპერაცია, დადგინდეს სავარაუდო მოთხოვნები, ხელმისაწვდომი ქონება ნაღდ ფულად უნდა იქცეს და დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები. ამის შემდგომ, დაუშვებელია დარჩენილი ქონების გადაცემა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, დამფუძნებელი ან/და ასოცირებული წევრების ან/და „ასოციაციის“ თავმჯდომარისთვის. აღნიშნული ქონება გადაეცემა შემდგომ ორგანიზაციებს:

18.4.1. ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მსგავს საქმიანობას („მგვ ორგანიზაციებს“);

18.4.2. საქველმოქმედო ორგანიზაციებს;

18.4.3. საქართველოს სახელმწიფოს.

18.5. ინფორმაცია ლიკვიდაციასთან დაკავშირებით უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში და ქონების განაწილება დაიშვება აღნიშნული შეტყობინების გამოქვეყნებიდან მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ.

მუხლი 19. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე „წესდებაში“ ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა დაიშვება „ასოციაციის“ წევრთა საერთო კრების თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თანმდევი პროცედურის გათვალისწინებით.

მუხლი 20. დავების გადაწყვეტა

„ასოციაციასთან“ დაკავშირებული, „ასოციაციისა“ და მის თავმჯდომარეს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და პერსონალს შორის, ასევე „ასოციაციისა“ და მესამე პირებს შორის წარმოშობილი ყველა და ნებისმიერი კატეგორიის დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე დავის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის მქონე სასამართლოს.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

21.1. წინამდებარე „წესდება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერის შემდგომ.

21.2. თუ წინამდებარე „წესდების“ რომელიმე დებულება აღმოჩნდება ბათილი ან შეუსრულებადი, აღნიშნული გავლენას არ მოახდენს მთლიანად „წესდების“ ან მისი სხვა ნორმების

ნამდვილობაზე/შესრულებადობაზე. ბათილი/შეუსრულებადი დებულება შეიცვლება ისეთი პირობით, რომელიც „ასოციაციას“ შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს თავისი მიზნები.

21.3. წინამდებარე „წესდება“ შედგენილია ქართულ ენაზე რამდენიმე აუთენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ორიგინალს.

ხელმოწერა:

ციხაია ეროვანი

ორი ათას ოცდახუთი წლის ოთხ თებერვალს მე, მარიკა გოგოლაძეს რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N183, მომმართა:

გიორგი გულიაშვილმა (დაბ. 19.05.1981წ. თბილისი, მისამართი: თბილისი მნათობის ქ. N 36. 3/ნ01029007510, 20IG01143 გაც. 10.10.2022წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ)

და მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ წესდებაზე ნოტარიატის შესახებ კანონის 38-ე მუხლის „ზ" პუნქტისა და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა , შევამოწმე ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მე, მას განვუმარტე: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტზე, დამოწმებისას ნოტარიუსი, ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სამოცდაექვსი ლარი + დღგ თერთმეტი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი, + ხუთი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ოთხმოცდაორი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31(VII), 39 და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250122305
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.02.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	marikagogoladze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	03135797971325

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18